საქართველოს მთავრობის

დადგენილება №99

2026 წლის 6 მარტი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა და დაცვის ობიექტთა ნუსხების, დაცვის დანიშვნა-გამოყოფის წესისა და დაცვის განხორციელების პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 5 თებერვლის №73 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა და დაცვის ობიექტთა ნუსხების, დაცვის დანიშვნა-გამოყოფის წესისა და დაცვის განხორციელების პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 5 თებერვლის №73 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/02/2020, 140080000.10.003.021782) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის („სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაცვის ობიექტთა ნუსხა“) პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციული შენობები ქ. თბილისში და ამავე სამსახურის ოფისი ქ. ქუთაისში;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის 2 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**